

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ შელიას  
ანგარიში 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ**

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

თქვენთვის ცნობილია 2017 წლიდან დღემდე ვარ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

ვარ ფრაქცია „ შენების მოძრაობა -ევროპული საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე .

ასევე საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარებულ 5 სხდომაში,

საანგარიშო პერიოდში არაოფიციალური შეხვედრების გარდა, მაქვს ჩატარებული ამომრჩევლებთან გეგმიური შეხვედრები და მიღება. ამ შეხვედრების დროს განხილული იყო სხვადასხვა სახის პრობლემური შეხვედრების დროს დასმული პრობლემები ძირითადად ეხებოდა შიდა გზების მოწესრიგებას, სანაგვე ურნების დადგმას, დაზიანებული სანიაღვრე არხების კალაპოტებისა და სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების პრობლემის მოგვარებას. ასევე სოციალურად დაუცველები ითხოვდნენ ფინანსურ დახმარებას.

გაიზარდოს სანაგვე ურნების რაოდენობა, მოსაწესრიგებელია სპორტული მოედანი , დაბას არ აქვს ავტობუსის მოსაცდელეები. ჩამონათვალი შეიძლება კიდევ უფრო დიდი იყოს, თუმცა ეტაპობრივად იგეგმება პრობლემათა გადაჭრა. მთავარია, მოსახლეობის აქტიური ჩართულობა, რათა თქვენი ინტერესების გათვალისწინებით მოხდეს ადგლობრივი მნიშვნელობის საკითხების ინიცირება. ვიმედოვნებ, 2020 წელს საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი სოციალური თუ ინფრასტრუქტურული საკითხის წარმატებით გადაჭრას შევძლებთ.

**საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი  
მერაბ შელია**